სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080152396348121

№ 123 20 / იანვარი / 2021 წ.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 15 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ SMP210000056 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა საფოსტო და საკურიერო მომსახურებების შესყიდვა (64100000 - საფოსტო და საკურიერო მომსახურებები), ღირებულებით 1000.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საფოსტო და საკურიერო მომსახურებების შესყიდვის მიზნით, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ გამოცხადებული NAT210000100 ელექტრონული ტენდერი დასრულდა უშედეგოდ, ხოლო განმეორებით გამოცხადებული NAT210000543 ელექტრონული ტენდერის სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. საგულისხმოა, რომ შესყიდვის დაყოვნება საფრთხეს შეუქმნიდა ცენტრის მმართველობაში არსებული 18 რაიონის საავადმყოფოს შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია იძულებული გახდა გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, საფოსტო და საკურიერო მომსახურებების შესყიდვის მიზნით, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ გამოცხადებული NAT210000100 ელექტრონული ტენდერი დასრულდა უშედეგოდ, ხოლო განმეორებით გამოცხადებული NAT210000543 ელექტრონული ტენდერის სატენდერო პროცედურები ჯერ არ

დასრულებულა. საგულისხმოა, რომ შესყიდვის დაყოვნება საფრთხეს შეუქმნიდა ცენტრის მმართველობაში არსებული 18 რაიონის საავადმყოფოს შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია იძულებული გახდა გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რათა მან დამატებით შეისწავლოს ტენდერის უშედეგოდ დასრულების მიზეზები და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები შემდგომში ასეთი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ განხორციელებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე